26/12/2025

MES 9 25 0001847872

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა – Zoom-ის გამოყენებით **2025 წლის 15 დეკემბერს 12:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=85211618130
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს(შემდგომში-საბჭო) წევრები:

ელენე კაკაბაძე – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს თავმჯდომარე);
ხათუნა ჩხარტიშვილი – სს „გუდვილის“ HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);
ნათია ბუთხუზი – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი (საბჭოს მდივანი);
გიორგი ვეკუა – სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);
ანა არუშიძე – სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი (საბჭოს წევრი);
ეკატერინე გიგაშვილი – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
გოჩა გოგიტიძე – სსიპ – სასწავლოს უნივერსიტეტის – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი (საბჭოს წევრი);
გოგიტა მშვენიერაძე – ა(ა)იპ – სამშენებლო კოლეჯ „კონტრუქტ2-ის“ სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი (საბჭოს წევრი).

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში –ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი – პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ნათია მჭედლიძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნინო ხელაძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ლონდა მინდიაშვილი – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნია გუგუნავა – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

ნინო კახიძე
მიმოზა ღოლიჯაშვილი
თათია კაციტაძე
ბარბარე გონაშვილი
დემიდ ფასიეშვილი
ნანა ქუფარაშვილი
მზია ბაკურიძე
ქეთევან ღვანიძე
თამარ გიორგობიანი
ნინო რამიშვილი
ირმა ღარიბაშვილი
ზაზა პაპიძე

დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს სიო

დამფუძნებელი - ციცინო ნემსიწვერიძე
 დირექტორი - გიორგი სიორდია
ხარისხის განვითარების სამსახურის მენეჯერი სასწავლო მიმართულებით - ლარისა გიორხელიძე
ხარისხის განვითარების სამსახურის მენეჯერი - ხათუნა ჭედია-მაჩიტიძე

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია

რექტორი - სოფიო მაჭარაშვილი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - ალინა კუპრავა
სამართლებრივი უზრუნველყოფის მენეჯერი - ნინო ორჯონიკიძე
რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში - ზურაბ ლობჟანიძე

შპს მარნეულის კოლეჯი

აკადემიური დირექტორი - ნინო გომელაური
ადმინისტრაციული დირექტორი - სოფიო გომელაური

სტრატეგიული მენეჯერი - შორენა ალაგარდაშვილი
ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი - იამზე ახალკაციშვილი

სსიპ კოლეჯი ქართლი

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი - ხათუნა ლობჟანიძე
ხარისხის მართვის მენეჯერი - ჯემალ ხაჩიძე
იურისტი/ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი - ნატო ხრიკული

საბჭოს სხდომის დაწყების დრო – 12:00 საათი.

საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განაცხადა, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:

1. შპს სიოში საბჭოს მიერ ჩანიშნულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში საბჭოს მიერ ჩანიშნულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხის განხილვა;
3. სსიპ კოლეჯ „ქართლის“ ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;
4. შპს მარნეულის კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრს არ ჰქონდა შუამდგომლობა.

პირველი საკითხი: შპს სიოში საბჭოს მიერ ჩანიშნულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, ნანი დალაქიშვილს.
ნანი დალაქიშვილმა საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია შპს „სიოში“ განხორციელებული მონიტორინგის შედეგების შესახებ. მან აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 14 აგვისტოს საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების საკითხი. წარმოების პროცესში გამოვლინდა, რომ ახალ ფართში დაწესებულებას სრულად არ ჰქონდა მოწესრიგებული სახანძრო უსაფრთხოების საკითხები (კერძოდ, 5.1.1.7 და 5.2.1.3 ინდიკატორები), რის გამოც ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირდა „მეტწილი შესაბამისობა“. საბჭოს გადაწყვეტილებით, 5.1 კომპონენტის გადამოწმების მიზნით ჩაინიშნა მონიტორინგი დოკუმენტების გამოთხოვის ფორმით, ვადით 24 ნოემბრამდე. ცენტრის წარმომადგენლის განცხადებით, დაწესებულებამ დადგენილ ვადაში წარმოადგინა მოთხოვნილი დოკუმენტაცია: საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დადებითი დასკვნა. სამსახურის მიერ შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ დაწესებულებას შესრულებული აქვს ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია და უზრუნველყოფილია სტანდარტთან შესაბამისობა და შესაბამისად, ადმინისტრაციული წარმოება დასრულებულად უნდა ჩაითვალოს.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შპს სიოში საბჭოს მიერ ჩანიშნულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი :
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორის სამსახურებრივი ბარათის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საბჭომ გადაწყვიტა, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს სიოში (ს/კ:212797945) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „საექთნო საქმე“ - ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი ხათუნა ჩხარტიშვილი.

მეორე საკითხი: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში საბჭოს მიერ ჩანიშნულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, ნანი დალაქიშვილს.
ნანი დალაქიშვილმა საბჭოს წარუდგინა ინფორმაცია შპს „ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში“ განხორციელებული მონიტორინგის შედეგების თაობაზე. მომხსენებლის განმარტებით, მიმდინარე წლის 8 აგვისტოს საბჭოს სხდომაზე განხილული იყო დაწესებულების ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის საკითხი, სადაც 5.1 კომპონენტი შეფასდა „მეტწილ შესაბამისობაში“. აღნიშნული შეფასება განპირობებული იყო დაწესებულების ახალ ფართში სახანძრო უსაფრთხოების დასკვნის არარსებობით. საბჭოს გადაწყვეტილებით, მონიტორინგის თარიღად განსაზღვრული იყო მიმდინარე წლის 12 ნოემბერი, ხოლო ფორმად – დოკუმენტაციის გამოთხოვა. ცენტრის წარმომადგენლის განცხადებით, დაწესებულებამ წერილობითი მოთხოვნის პასუხად წარმოადგინა სახანძრო უსაფრთხოების დადებითი დასკვნა. სამსახურის მიერ დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დადასტურდა, რომ დაწესებულებას შესრულებული აქვს ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია. ცენტრმა წარმოადგინა შუამდგომლობა ადმინისტრაციული წარმოების დასრულების თაობაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში საბჭოს მიერ ჩანიშნულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორის სამსახურებრივი

ბარათის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საბჭომ გადაწყვიტა: დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში (ს/კ: 406056173) განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ განსახილველად გამოიტანა დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხი. თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება, რაზეც მათ უარყოფითი პასუხი გასცეს. საბჭოს წევრებს განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება არ დაუფიქსირებიათ. საბჭოს წევრებმა და დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას.
საკითხის განხილვის დაწყებისას, ექსპერტ თამარ გიორგობიანს შეექმნა ტექნიკური სახის შეფერხება, რის გამოც ვერ მოხერხდა პრეზენტაციის გაზიარება და წარდგენის დაწყება. დროის რაციონალურად გამოყენების მიზნით, დღის წესრიგის მეოთხე საკითხის ექსპერტის, ნინო კახიძის წინადადებისა და მხარეთა (საბჭო, ცენტრი, დაწესებულება) თანხმობის საფუძველზე, გადაწყდა საკითხთა რიგითობის ცვლილება. კერძოდ, სსიპ კოლეჯ „ქართლის“ საკითხის განხილვა გადაიდო ტექნიკური ხარვეზის აღმოფხვრამდე და საბჭო გადავიდა შპს მარნეულის კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვაზე.

მესამე საკითხი: შპს მარნეულის კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნინო კახიძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 25 სექტემბრის MES 8 25 0001226159 ბრძანების (ცვლილებები: N 1267197 01/10/2025 და N 1362305 17/10/2025) საფუძველზე, 2025 წლის 15-17 ოქტომბერს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შპს მარნეულის კოლეჯში (ქალაქი მარნეული, 26 მაისის ქუჩა N80). ვიზიტის მიზანი იყო დაწესებულების პირობების და საგანმანათლებლო პროგრამების („საექთნო განათლება", "სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი", „მასაჟის თერაპია“, „ფარმაცია (სააფთიაქო)“, „საფინანსო სერვისები“ და „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.

ვიზიტი წარიმართა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს, პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ სუბიექტებთან, ჩატარდა მათ წარმომადგენლებთან გასაუბრება.
მომხსენებლის განცხადებით, დოკუმენტაციის შესწავლისა და ადგილზე განხორციელებული ვიზიტის შედეგად, დაწესებულების მხრიდან რაიმე სახის დარღვევა არ გამოკვეთილა და ყველა სტანდარტი, მათ შორის პროგრამული ნაწილი, შეფასდა სრულ შესაბამისობაში. გაცემული რეკომენდაციები ატარებს მხოლოდ განმავითარებელ ხასიათს და ემსახურება დაწესებულების შემდგომ წინსვლას.

ექსპერტმა დეტალურად მიმოიხილა ინსტიტუციური სტანდარტები. პირველ სტანდარტთან მიმართებით აღინიშნა, რომ დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები სრულ შესაბამისობაშია პროფესიული განათლების მიზნებთან და საჯაროდ არის ხელმისაწვდომი ვებგვერდსა და დაწესებულების შენობაში. დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის დასაქმებულებთან, სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან გასაუბრებამ დაადასტურა მათი ჩართულობა სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავების პროცესში. დაწესებულებას ჰყავს სტრატეგიული მენეჯერი, ხოლო სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, ისევე როგორც მათი შესრულების ანგარიშები, საჯაროა. ექსპერტთა ჯგუფმა ადგილზე შეისწავლა ბოლო რამდენიმე წლის მონაცემები და დაადასტურა, რომ დაწესებულება ახდენს გასული პერიოდის შედეგების ანალიზს და შესაბამისი ცვლილებები შეაქვს მომდევნო წლის დაგეგმვის პროცესში.

მესამე სტანდარტზე საუბრისას ექსპერტმა ხაზი გაუსვა სტუდენტური ცხოვრების მრავალფეროვნებას, განსაკუთრებით ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის კუთხით. დაწესებულება ყოველწლიურად მართავს ქართული ენის დღისადმი მიძღვნილ მასშტაბურ ღონისძიებებს. თუმცა, ვიზიტისას გამოვლინდა, რომ სტუდენტთა დასწრების მაჩვენებელი დაახლოებით 50-60%-ს შეადგენს. ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებას მისცა განმავითარებელი რეკომენდაცია, განახორციელოს მეტი ღონისძიება დასწრების მაჩვენებლის გაზრდის მიზნით, რაც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სტუდენტებს შეუწყობს ხელს ქართულენოვან გარემოში მეტი დროის გატარებასა და ენობრივი კომპეტენციის გაუმჯობესებაში. დაწესებულებაში ასევე ფუნქციონირებს ანონიმური უკუკავშირის მექანიზმი „სტუდენტის ხმა“.

მეოთხე სტანდარტის ფარგლებში ექსპერტმა ისაუბრა ადამიანური რესურსების მართვის სტრუქტურაზე. დაწესებულებაში ფუნქციები გადანაწილებულია ადმინისტრაციულ, სასწავლო, ხარისხისა და სტრატეგიულ მიმართულებებზე. ამ ნაწილში გაიცა ორი ძირითადი განმავითარებელი რეკომენდაცია: პირველი ეხება შინაგანაწესში შვებულების დღეების რაოდენობის დაკონკრეტებას, ნაცვლად ზოგადი ჩანაწერისა („არანაკლებ 24 დღისა“), ხოლო მეორე რეკომენდაციით, უქმე დღეების ჩამონათვალის ნაცვლად, მიზანშეწონილია გაკეთდეს პირდაპირი მითითება შრომის კოდექსის შესაბამის მუხლზე, რათა საკანონმდებლო ცვლილებების შემთხვევაში არ გახდეს საჭირო შინაგანაწესის მუდმივი კორექტირება. პერსონალის შეფასების კუთხით დაწესებულება იყენებს როგორც ინტერვიუებს, ისე ანონიმურ გამოკითხვას QR კოდების საშუალებით. ექსპერტთა რეკომენდაციაა, მარეგულირებელ დოკუმენტში აისახოს ორივე მეთოდი, რადგან ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით განსხვავდება მათი პრეფერენციები. ასევე დადებითად შეფასდა პერსონალის განვითარების სისტემა, რომელიც ეფუძნება საჭიროებების კვლევას, მიზნობრივ ბიუჯეტირებასა და ტრენინგებს, მათ შორის კერძო კოლეჯების ასოციაციასთან თანამშრომლობით.

მეხუთე სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების ინფრასტრუქტურა სრულად შეესაბამება მოთხოვნებს. კოლეჯის მფლობელობაშია სათანადოდ აღჭურვილი აუდიტორიები, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა და დამხმარე სივრცეები. ვიზიტის მიმდინარეობისას ადგილზევე გამოსწორდა საიჯარო ხელშეკრულებასთან დაკავშირებული უზუსტობა და წარმოდგენილ იქნა განახლებული რეგისტრაცია, რომელიც ფარავს ავტორიზაციის სრულ ვადას. შენობაში დაცულია უსაფრთხოების ნორმები, არსებობს საევაკუაციო გეგმები, პირველადი დახმარების საშუალებები და ინციდენტების აღრიცხვის ჟურნალი. დაწესებულებას გააჩნია სახანძრო უსაფრთხოების, შენობის მდგრადობისა და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შესახებ დადებითი დასკვნები. ფინანსური მდგრადობა დასტურდება წარმოდგენილი ბიუჯეტით, ხოლო შრომის უსაფრთხოება და პერსონალურ მონაცემთა დაცვა უზრუნველყოფილია აუთსორსინგის ხელშეკრულებებით.

ექსპერტმა ასევე მიმოიხილა ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამები. საექთნო განათლების პროგრამა (150 სტუდენტი) ხორციელდება კოოპერაციული მეთოდით და უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. აღნიშნულ პროგრამაზე გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია შუალედური შეფასებების დანერგვის თაობაზე. ექსპერტის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი კანონმდებლობა საკვალიფიკაციო გამოცდის არსებობისას შუალედურ შეფასებას სავალდებულოდ არ ითხოვს, ექსპერტთა ჯგუფი მას მნიშვნელოვან კომპონენტად მიიჩნევს სტუდენტის განვითარებისა და პროგრამის ხარვეზების დროული იდენტიფიცირებისთვის. „ფარმაციის“ (50 სტუდენტი) და „საფინანსო სერვისების“ (44 სტუდენტი) პროგრამები ასევე ხორციელდება კოოპერაციულად და ფლობენ სათანადო იმიტირებულ გარემოებსა თუ ლაბორატორიებს. „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ (44 სტუდენტი) ხორციელდება იმიტირებულ გარემოში.„აღმზრდელის“ პროგრამის ფარგლებში გაფორმებულია ხელშეკრულებები რეგიონის საბავშვო ბაღებთან. „მასაჟის თერაპია“ (40 სტუდენტი) ხორციელდება იმიტირებულ გარემოში, სადაც ექსპერტებმა ადგილზე დაადასტურეს ცალკეული მოდულების დისტანციურ რეჟიმში განხორციელების შესაძლებლობა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში მოქმედებს შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციისა და ვერიფიკაციის გამართული მექანიზმი, რომელშიც ჩართულნი არიან გარე ექსპერტები და ხარისხის სამსახური.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა, ნინო კახიძემ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა „საექთნო განათლების“ პროგრამის ფარგლებში გაცემულ განმავითარებელ რეკომენდაციაზე (ინდიკატორი 2.3.1.2), რომელიც შუალედური შეფასებების განხორციელებას უკავშირდება. ექსპერტის განმარტებით, აღნიშნული რეკომენდაციის გაცემა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ

დაწესებულებას საექთნო პროგრამაზე არ აქვს დანერგილი შუალედური შეფასების პრაქტიკა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების ეს მიდგომა გამომდინარეობს საქართველოს მთავრობის №416 დადგენილებაში განხორციელებული ცვლილებებიდან. კერძოდ, მოქმედი რედაქცია იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომელთა სტანდარტი ითვალისწინებს საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებას, შუალედურ შეფასებას სავალდებულო კომპონენტად არ განსაზღვრავს. შესაბამისად, დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია ეფუძნებოდა საკანონმდებლო მოთხოვნების ფორმალურ დაცვას, რის გამოც ისინი არ იზიარებდნენ აღნიშნულ საჭიროებას. მიუხედავად იმისა, რომ საკანონმდებლო ვალდებულება ამ ეტაპზე არ არსებობს, ექსპერტთა ჯგუფმა მიზანშეწონილად მიიჩნია რეკომენდაციის შენარჩუნება საგანმანათლებლო ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით. ნინო კახიძემ ხაზი გაუსვა შუალედური შეფასების, როგორც „განმავითარებელი შეფასების“ კრიტიკულ მნიშვნელობას სტუდენტთა პროგრესისთვის. მისი შეფასებით, შუალედური შეფასება წარმოადგენს საკვალიფიკაციო გამოცდის ერთგვარ „გენერალურ რეპეტიციას“, რომელიც დაწესებულებას აძლევს უნიკალურ შესაძლებლობას, კვალიფიკაციის მინიჭების გადამწყვეტ ეტაპამდე რეალურად შეაფასოს სტუდენტის ცოდნა და დროულად გამოავლინოს სასწავლო პროცესში არსებული ხარვეზები. ექსპერტის განცხადებით, აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინება ხელს შეუწყობს როგორც კონკრეტული პროგრამის, ისე ზოგადად დაწესებულების განვითარებას და უზრუნველყოფს მზადყოფნას იმ შემთხვევისთვის, თუ სამომავლო საკანონმდებლო ცვლილებები კვლავ დააბრუნებს შუალედური შეფასების სავალდებულოობას ყველა ტიპის პროგრამისთვის.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება:

ინდიკატორი 3.2.1.1: კოლეჯის სამომავლო განვითარების მიზნით ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელობამ შეიმუშავოს და დანერგოს ეფექტიანი ინსტრუმენტებისა და სტრატეგიების კომპლექსური სისტემა, რომელიც მიზნად დაისახავს სტუდენტების სასწავლო პროცესში აქტიურ ჩართულობასა და დასწრების მნიშვნელოვან ზრდას, ეს ინსტრუმენტები შეიძლება მოიცავდეს დასწრების დადებითი წახალისების მექანიზმებს (მაგალითად, მაღალი დასწრების მქონე სტუდენტების აღიარება, დამატებითი ქულების მინიჭება ან მცირე ბენეფიტები), მენტორობის პროგრამების გაძლიერებას, სასწავლო პროცესის ინტერაქტიულობისა და პრაქტიკული ორიენტაციის გაზრდას სწავლის მოტივაციის ამაღლების მიზნით.

ინდიკატორი 4.1.2.1: დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია შიდა მარეგულირებელ დოკუმენტში, შინაგანაწესში განსაზღვროს წლის განმავლობაში ანაზღაურებადი და არაანაზღაურებადი შვებულების მაქსიმალური ოდენობა (მუხლი 8, პუნქტები 1 და 2), ასევე შინაგანაწესში გააკეთოს უშუალო მითითება შრომის კოდექსზე უქმე დღეების ნაწილში, ხოლო შინაგანაწესში ასახოს მხოლოდ ის უქმე დღეები, რომლებსაც დაწესებულება საკუთარი სურვილით იყენებს და შრომის კოდექსისგან განსხვავდება (მუხლი 16, პუნქტი 9).

ინდიკატორი 4.2.1.1: ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან კვლევის ორივე მეთოდი შეფასდა დადებითად, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ მარეგულირებელი დოკუმენტი მხოლოდ თვისებრივ კვლევას ითვალისწინებს, დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია, ანონიმურობისა და ობიექტურობის შენარჩუნების მიზნით თვისებრივ კვლევასთან ერთად გამოიყენოს შეფასების კითხვარიც.

ინდიკატორი 2.3.1.2: დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლებსაც სტანდარტით განსაზღვრული აქვთ სავალდებულოდ საკვალიფიკაციო გამოცდის განხორციელება (ამ შემთხვევაში „საექთნო განათლება“), სტუდენტის მიღწევების შეფასების, ასევე სასწავლო პროცესის შეფასების, საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნებისთვის განახორციელოს შუალედური

შეფასებაც, რაც დაწესებულებისთვის იქნება პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზის ერთ-ერთი ინდიკატორი და საჭიროების შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში შესაბამისი ცვლილების განხორციელების ერთ-ერთი საფუძველი. მიუხედავად ამისა, ინდიკატორის 2.3.1.2 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული სამუშაოსა და საინტერესო განმავითარებელი რეკომენდაციებისთვის. მან მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს წევრი, ნათია ბუთხუზი დაინტერესდა 3.2.1.1 ინდიკატორთან დაკავშირებული საკითხით, რომელიც ეხება დაწესებულებაში სტუდენტთა მხარდაჭერაზე პასუხისმგებელი სტრუქტურის ან პირის არსებობას. მან აღნიშნა, რომ თუკი აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, გაუგებარია, რამ განაპირობა განმავითარებელი რეკომედაციის გაცემა? საბჭოს წევრმა დასვა კითხვა პრობლემის გამომწვევ მიზეზებთან დაკავშირებით და იკითხა, თუ როგორ ხდებასტუდენტების შერჩევა მოტივაციური გასაუბრებაზე თუკი მათ შემდგომ უჭირთ ენობრივი ბარიერის დაძლევა და სასწავლო პროცესში ჩართვა. ნათია ბუთხუზმა ეჭვი გამოთქვა, რამდენად გადაჭრის წახალისება დასწრების მაჩვენებლის ზრდის შესახებ გაცემული რეკომენდაცია.

აღნიშნულ საკითხზე განმარტება გააკეთა ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა, ნინო კახიძემ. მან ხაზი გაუსვა, რომ პრობლემა უფრო გლობალური ხასიათისაა და უკავშირდება რეგიონის სპეციფიკას ეთნიკური უმცირესობების თვალსაზრისით. ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებასთან მსჯელობისას გამოიკვეთა, რომ არსებობენ სტუდენტები, რომლებიც ახერხებენ გამოცდის ან მოტივაციური გასაუბრების ფორმალურ დონეზე გავლას, თუმცა არ გააჩნიათ პროფესიული საქმიანობისთვის აუცილებელი გამართული საკომუნიკაციო უნარები. მისი განმარტებით, გაცემული რეკომენდაცია მიზნად ისახავს სწორედ ქართულენოვან გარემოში სტუდენტთა მეტ ინტეგრაციას, რათა მათ შეძლონ ენის პრაქტიკული გამოყენების გაუმჯობესება.

ნათია ბუთხუზმა დამატებითი კითხვა დასვა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციისა და ვერიფიკაციის მექანიზმებთან დაკავშირებით. იგი დაინტერესდა, თუ რა კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ გარე შემფასებლები და რამდენად სანდოა ვერიფიკაციის პროცესი. საბჭოს წევრმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა იმაზე, თუ რამდენად სწორად არის შეფასებული და შემდგომში აღმოფხვრილი ის რისკები, რომლებიც შესაძლოა უკავშირდებოდეს სტუდენტების მიერ ენობრივი კომპეტენციის დაძლევასა და სწავლის შედეგების მიღწევას.

ფინანსების მიმართულებით დარგის ექსპერტმა, ბარბარე გონაშვილმა განმარტა, რომ ვიზიტის ფარგლებში შეფასების ინსტრუმენტები გადამოწმდა შერჩევითობის პრინციპით და უშუალოდ ფინანსების მიმართულებით რაიმე სპეციფიკური რისკი ან შეუსაბამობა არ გამოვლენილა.

საკითხის მეტი სიცხადისთვის, საბჭოს თავმჯდომარემ განმარტება სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს. შპს მარნეულის კოლეჯის წარმომადგენელმა, ნინო გომელაურმა საბჭოს დეტალურად გააცნო ვერიფიკაციისა და ვალიდაციის შიდა რეგულაციები. მან აღნიშნა, რომ ვინაიდან ფიზიკურად შეუძლებელია ყველა მოდულის შემოწმება, დაწესებულებას განსაზღვრული აქვს რისკ-ფაქტორიანი შერჩევის მეთოდოლოგია. კერძოდ, მოწმდება ახალი მასწავლებლების მიერ შედგენილი ინსტრუმენტები, ასევე, ის მოდულები, რომლებიც მოიცავს მრავალ სწავლის შედეგს ან სადაც წინა წელს დაფიქსირდა ხარვეზები. რაც შეეხება ენობრივ ბარიერს, წარმომადგენელმა დაადასტურა სისტემური ხარვეზის არსებობა და მოიყვანა

მაგალითი, როდესაც შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (NAEC) მიერ მაღალი ქულებით ჩარიცხულმა სტუდენტმა არ იცოდა სახელმწიფო ენა, რის გამოც კოლეჯმა მას შეუჩერა სტუდენტის სტატუსი და მისცა რეკომენდაცია ენის შესწავლის თაობაზე. ნინო გომელაურმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამჟამად აქტიური სტუდენტები აკმაყოფილებენ ენის ფლობის B1 დონეს, ხოლო დამატებითი მხარდაჭერის სახით, დაწესებულება უზრუნველყოფს სპეციალურ მეცადინეობებს სტუდენტთა საკომუნიკაციო კომპლექსების დაძლევისა და უნარების გაუმჯობესების მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარე, ელენე კაკაბაძე დაინტერესდა ადამიანური რესურსების მართვის სტანდარტის ფარგლებში გაცემული განმავითარებელი რეკომენდაციით, რომელიც შვებულებების რეგულირებას ეხებოდა. თავმჯდომარემ დააზუსტა, რამდენად მოდიოდა წინააღმდეგობაში დაწესებულების შინაგანაწესი და დასაქმებულებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები. ნინო კახიძემ განმარტა, რომ შინაგანაწესში განსაზღვრული იყო შვებულების მხოლოდ მინიმალური ხანგრძლივობა, ხოლო მაქსიმალური დღეების რაოდენობა მითითებული არ იყო, მაშინ როდესაც შრომით ხელშეკრულებებში კონკრეტული ვადები იყო გაწერილი. შესაბამისად, დოკუმენტებს შორის არსებული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით გაიცა რეკომენდაცია.

ელენე კაკაბაძემ ასევე განიხილა „საექთნო განათლების“ პროგრამაზე გაცემული რეკომენდაცია შუალედურ შეფასებასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ იზიარებს დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას, რომლის მიხედვითაც, ხარისხის ანალიზისთვის კანონმდებლობა იმპერატიულად არ ითხოვს მაინცდამაინც შუალედური გამოცდის გამოყენებას და შესაძლებელია დაწესებულებამ ისარგებლოს სხვა მექანიზმებით (მაგალითად, მოდულების ანალიზი, შიდა მონიტორინგი). თუმცა, თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა, რომ სტუდენტების პერსპექტივიდან შუალედური შეფასება წარმოადგენს საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების აუცილებელ წინაპირობას, რაც აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული სასწავლო პროცესში.

ექსპერტმა ნინო კახიძემ დაადასტურა, რომ №416 დადგენილების თანახმად, შუალედური გამოცდის ჩატარება სავალდებულოა იმ პროგრამებისთვის, რომლებიც სრულდება საკვალიფიკაციო გამოცდით. ვინაიდან დაწესებულებას ჯერ არ ჰქონდა დამდგარი შუალედური გამოცდის ჩატარების ვადა, ამ ეტაპზე დარღვევა არ ფიქსირდებოდა, თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა რეკომენდაცია ძალაში დატოვა სამომავლო რისკების პრევენციისა და პროგრამის განვითარების მიზნით. ექსპერტის განცხადებით, მათი და კანონმდებლის მიზანია, სტუდენტს ჰქონდეს მეტი განმავითარებელი შეფასება და შემოწმდეს მისი მზაობა საბოლოო კვალიფიკაციის მიღებამდე.

დისკუსიაში ჩაერთო საბჭოს წევრი, გოჩა გოგიტიძე, რომელმაც დააზუსტა, ჰქონდა თუ არა კოლეჯს სასწავლო გეგმაში ან სხვა მარეგულირებელ დოკუმენტში გათვალისწინებული შუალედური გამოცდის ჩატარების ვადები და ვალდებულება. ნინო კახიძემ განმარტა, რომ ამჟამად სასწავლო გეგმასა და მოდულებში აღნიშნული ვალდებულება ასახულია და დაწესებულება სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

საკითხის შეჯამებისას ელენე კაკაბაძემ დადებითად შეაფასა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია. მან აღნიშნა, რომ მისასალმებელია, როდესაც დაწესებულება ავტომატურად არ ეთანხმება ყველა შენიშვნას და აქვს საკუთარი, გააზრებული ხედვა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრი, ნათია ბუთხუზი დაინტერესდა დისტანციური სწავლების კომპონენტით. მან სთხოვა ექსპერტს დაეზუსტებინა, რომელ პროგრამაზე ხორციელდება მოდულები დისტანციურად ექსპერტმა ნინო კახიძემ განმარტა, რომ საუბარია „მასაჟის თერაპიის“ პროგრამაზე, რომელიც ახალი ავტორიზებულია და მიმდინარე წლის სექტემბრიდან ხორციელდება. ვინაიდან სასწავლო პროცესი ახალი დაწყებული იყო, ვიზიტის ფარგლებში დისტანციური სწავლების შედეგების სიღრმისეული შეფასება ვერ მოხერხდა, თუმცა შემოწმდა შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტაცია და დაწესებულების ფიზიკური მზაობა. ექსპერტმა დაადასტურა, რომ პროგრამის სტანდარტი ითვალისწინებს კონკრეტული მოდულების დისტანციურ რეჟიმში განხორციელებას და დაწესებულება სრულ შესაბამისობაშია აღნიშნულ მოთხოვნასთან.

ნათია ბუთხუზმა ასევე დასვა კითხვა დაწესებულების ზოგად გამოწვევებსა და საუკეთესო პრაქტიკასთან დაკავშირებით. ექსპერტმა ნინო კახიძემ დადებითად შეაფასა დაწესებულებაში მიმდინარე ხარისხის დეცენტრალიზაციის პროცესი, დოკუმენტწარმოების მაღალი სტანდარტი და ადმინისტრაციის კოლეგიალური დამოკიდებულება.

სტუდენტთა უკუკავშირთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია წარმოადგინა ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, მიმოზა ღოლიჯაშვილმა. მან აღნიშნა, რომ სტუდენტები დადებითად აფასებენ სასწავლო გარემოსა და ადმინისტრაციის მხარდაჭერას. ექსპერტმა ხაზი გაუსვა კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელს (მათ შორის საბანკო სექტორსა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში). რაც შეეხება დასწრების დაბალ მაჩვენებელსა და ენობრივ ბარიერს, ექსპერტის განმარტებით, ეს რეგიონისთვის დამახასიათებელი ზოგადი პრობლემაა, რომელიც უკავშირდება სოციუმში არსებულ კომპლექსებსა და ენობრივ გარემოს.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს, ნინო გომელაურს. წარმომადგენელმა კიდევ ერთხელ განმარტა, რომ დაწესებულების შიდა რეგულაციით, იქ სადაც საკვალიფიკაციო გამოცდა სავალდებულოა, ავტომატურად სავალდებულოა შუალედური გამოცდაც, შესაბამისად, ამ კუთხით ისინი სრულ შესაბამისობაში არიან კანონმდებლობასთან. მისი განცხადებით, წინა წლებში ჩატარებულმა პრაქტიკამ აჩვენა, რომ შუალედური გამოცდა, როგორც პროგრამის შეფასებისა და ხარისხის ანალიზის ინსტრუმენტი, არ იყო ეფექტური. ამიტომ, როდესაც კანონმდებლობამ დაუშვა არჩევანის შესაძლებლობა, დაწესებულებამ ხარისხის მონიტორინგისთვის უპირატესობა მიანიჭა სხვა მექანიზმებს, თუმცა სტუდენტთა შეფასების ნაწილში იცავს სავალდებულო მოთხოვნებს. ძირითად გამოწვევად დასახელდა სახელმწიფო ენის ცოდნის დონე რეგიონში (რადგან სკოლების მხოლოდ 30%-ია ქართულენოვანი) და მაღალი კონკურენცია. დაწესებულება გეგმავს გაფართოებას და სახელმწიფოს პრიორიტეტების გათვალისწინებით, სტუმარმასპინძლობის მიმართულებით ახალი პროგრამების დამატებას.

საბჭოს წევრმა, გოჩა გოგიტიძემ დააზუსტა შუალედური შეფასების ეფექტურობის საკითხი. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ არაეფექტურობაში იგულისხმებოდა პროგრამის განვითარების კუთხით მიღებული შედეგები და არა სტუდენტის ცოდნის შეფასება.

ვინაიდან საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შპს მარნეულის კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად, საბჭომ გადაწყვიტა: შპს მარნეულის კოლეჯს (ს/კ: 243919033) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი. შპს მარნეულის კოლეჯს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები **(დანართი 1).**

გადაწყვეტილების პროექტის საბოლოო შეთანხმებისას, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელმა, ნანი დალაქიშვილმა საბჭოს განუმარტა საკითხი მილევად რეჟიმში განხორციელებული „ინფორმაციის ტექნოლოგიის “ პროგრამაზე აქტიური სტუდენტების რაოდენობის კორექტირების თაობაზე. მისი განმარტებით, ექსპერტთა დასკვნაში მითითებული იყო 38 აქტიური სტუდენტი, თუმცა დაწესებულების მიერ მოწოდებული განახლებული ინფორმაციით, სასწავლო პროცესის დასრულების (ჯგუფის გაშვების) გამო, ამ ეტაპზე აქტიური სტუდენტების რაოდენობა შეადგენს 21-ს. დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო გომელაურმა დაადასტურა აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება და აღნიშნა, რომ ცვლილება გამოწვეულია სტუდენტთა ნაკადის მიერ სწავლის დასრულებით ვიზიტის პერიოდიდან დღემდე.
,საბჭოს თავმჯდომარისა და წევრების თანხმობით, გადაწყდა, რომ ოქმის დანართში „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროგრამაზე აქტიური სტუდენტების ზღვრულ რაოდენობად განისაზღვროს 21 სტუდენტი.

მეოთხე საკითხი: სსიპ კოლეჯ „ქართლის“ ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს,

იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, თამარ გიორგობიანი მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 18 სექტემბრის N1176224 ბრძანების საფუძველზე შექმნილ ექსპერტთა ჯგუფს შემადგენლობით – თამარ გიორგობიანი – ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნინო რამიშვილი – ექსპერტთა ჯგუფის წევრი, ირმა ღარიბაშვილი – ექსპერტთა ჯგუფის წევრი, ქეთევან ღვანიძე – ექსპერტთა ჯგუფის წევრი, ზაზა პაპიძე – ექსპერტთა ჯგუფის წევრი, დაევალა სსიპ – კოლეჯ „ქართლში“ (მისამართი: ხაშურის მუნიციპალიტეტი, დაბა სურამი, ახალი ბანას ქუჩა N15) 2025 წლის 15 – 17 ოქტომბრის პერიოდში ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის საფუძველზე. სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ზემოაღნიშნული ბრძანების საფუძველზე, თამარ გიორგობიანმა და ნინო რამიშვილმა ვიზიტი განახორციელეს 2025 წლის 15, 16 და 17 ოქტომბერს, ირმა ღარიბაშვილმა – 12025 წლის 15 ოქტომბერს, ხოლო ქეთევან ღვანიძემ და ზაზა პაპიძემ – 2025 წლის 17 ოქტომბერს.

ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის განხორციელებამდე შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, გაეცნო ვებ-გვერდზე განთავსებულ ინფორმაციას, შეაჯერა განსახილველი საკითხები და შეიმუშავა ვიზიტის დღის წესრიგი. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი ჩატარდა დღის წესრიგის შესაბამისად, რომლის ფარგლებში ექსპერტები დაწესებულებაში გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს, ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლებს, პროგრამის ხელმძღვანელებს, პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პარტნიორი კომპანიების წარმომადგენლებს. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ, კოლეგიალურ და საქმიან ვითარებაში. აღსანიშნავია, რომ დაწესებულება ახორციელებს რამდენიმე მოკლევადიან პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამას.

ექსპერტმა ვრცლად ისაუბრა დაწესებულების განვითარების ისტორიაზე და აღნიშნა, რომ კოლეჯი დაფუძნდა 2021 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული გამოწვევების გამო ავტორიზაციის პროცესი დროში გახანგრძლივდა, დაწესებულება არ გაჩერებულა და აქტიურად ახორციელებდა საქმიანობას პროფესიული მომზადებისა და გადამზადების მოკლევადიანი პროგრამების მიმართულებით. კერძოდ, ხორციელდებოდა პროგრამები ისეთ სფეროებში, როგორიცაა: კომპიუტერული ქსელები და სისტემები, ელექტრო შედუღება, ზოგადი ელექტრო სამონტაჟო სამუშაოები, ტყის მდგრადი პროდუქტების წარმოება, საავტომობილო მიმართულება, სანტექნიკა, ბუღალტრული აღრიცხვა და სხვა.
შეფასების შედეგების მიმოხილვისას თამარ გიორგობიანმა განაცხადა, რომ დაწესებულება სრულ შესაბამისობაშია პირველ, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტებთან.

პირველ სტანდარტთან (მისია და სტრატეგიული განვითარება) დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულება პოზიციონირებს როგორც მრავალპროფილური კოლეჯი, რომლის მისიაა ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება, რაც სრულ თანხვედრაშია პროფესიული განათლების ეროვნულ მიზნებთან, ეკონომიკურ განვითარებასა და ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოებასთან. დაწესებულებას შემუშავებული აქვს შვიდწლიანი სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, ასევე, მათი ციკლური მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია. ექსპერტთა ჯგუფმა ადგილზე შეისწავლა 2022-2024 წლების შუალედური ანგარიშები. ამ ნაწილში გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია: სამოქმედო გეგმაში გაწერილი საავტორიზაციო ვადები არ ემთხვეოდა ფაქტობრივ რეალობას, რაზეც დაწესებულებამ გამოთქვა მზაობა, რომ მომდევნო საანგარიშო პერიოდის (2026 წლის) დაგეგმვისას მოახდენს ვადების ზუსტ კორელაციას.

მესამე სტანდარტის (სტუდენტთა მხარდაჭერა) ფარგლებში ექსპერტმა დადებითად შეაფასა დაწესებულების მიერ შემუშავებული მარეგულირებელი ჩარჩო, რომელიც იცავს სტუდენტის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. დოკუმენტურად გაწერილია სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და გასაჩივრების მექანიზმები. შემოწმდა სტუდენტებთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუშები (მათ შორის კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობით) და დადასტურდა მათი შესაბამისობა კანონმდებლობასთან. თამარ გიორგობიანმა ხაზი გაუსვა, რომ გასაუბრებების შედეგად გამოიკვეთა დაწესებულების გუნდის მაღალი მზაობა, უზრუნველყონ სტუდენტზე ორიენტირებული ხარისხიანი სერვისის მიწოდება.

მეოთხე სტანდარტთან (ადამიანური რესურსები) დაკავშირებით აღინიშნა, რომ პერსონალის სტრუქტურა, საშტატო განრიგი, ფუნქცია-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები გამართულია. პირადი საქმეების შესწავლისას ხარვეზები არ გამოვლენილა. ამ მიმართულებით გაიცა ერთი მნიშვნელოვანი განმავითარებელი რეკომენდაცია: ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებას ურჩია, ისეთ პოზიციებზე, როგორიცაა „ქსელის ადმინისტრატორი“ და „საქმისმწარმოებელი“ (ადმინისტრაციული სერვისები), საკვალიფიკაციო მოთხოვნად განსაზღვროს არა მხოლოდ უმაღლესი, არამედ პროფესიული განათლებაც. აღნიშნული რეკომენდაცია ემსახურება პროფესიული განათლების პოპულარიზაციას და რეგიონში კოლეჯის კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობას. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ პერსონალის განვითარების სისტემა აქტიურად მუშაობს – დაწესებულებას უკვე განხორციელებული აქვს თანამშრომელთა გადამზადების ტრენინგები, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციითა და ინტერვიუებით.

მეხუთე სტანდარტის (მატერიალური რესურსები) მიმოხილვისას ექსპერტმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა დაწესებულების მასშტაბურ და კეთილმოწყობილ ინფრასტრუქტურაზე. კოლეჯი განთავსებულია ვრცელ ტერიტორიაზე და მოიცავს ორ ძირითად ნაგებობას: პირველი კორპუსი განკუთვნილია თეორიული სწავლებისთვის, ხოლო მეორე – პრაქტიკული მეცადინეობებისა და სახელოსნოებისთვის (C გარემო). დაწესებულებას გააჩნია თანამედროვე სტანდარტების აუდიტორიები, სპორტული დარბაზი, საკონფერენციო სივრცე, დასასვენებელი ზონები, არქივი, ადაპტირებული სველი წერტილები და კვების ობიექტი. დაცულია შრომისა და სახანძრო უსაფრთხოების ნორმები, რაზეც წარმოდგენილია შესაბამისი დასკვნები. შენობის მდგრადობა დადასტურებულია კომპეტენტური ორგანოს მიერ. მოწესრიგებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები და დანიშნულია შრომის უსაფრთხოების ოფიცერი. პირველადი გადაუდებელი დახმარებისთვის ფუნქციონირებს სრულად აღჭურვილი სამედიცინო ოთახი, სადაც დასაქმებულია ექთანი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში მოქმედებს 112-თან კოორდინაციით.

პრეზენტატორმა წარმოადგინა ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულება ავტორიზაციაზე წარმოდგენილია სამი პროგრამით. ამ ეტაპზე ინტეგრირებული პროგრამები არ არის წარმოდგენილი, თუმცა კოლეჯი გეგმავს მათ დამატებას ავტორიზაციის მინიჭების შემდეგ.

თამარ გიორგობიანმა, ასევე, მიმოიხილა სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და სტუდენტთა განვითარების საკითხები. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას თითოეული პროგრამისთვის შემუშავებული აქვს სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვითაც სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, რაც სრულ შესაბამისობაშია მოქმედ რეგულაციებთან. ასევე, კანონმდებლობის მოთხოვნებს პასუხობს მესამე სტანდარტით გათვალისწინებული მარეგულირებელი წესები: სტუდენტის ჩარიცხვა, სტატუსის შეჩერება/შეწყვეტა, მობილობა და ფორმალური განათლების აღიარება.

ექსპერტმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა სასწავლო პროცესის უსაფრთხო გარემოში წარმართვის მნიშვნელობაზე. კერძოდ, ისეთი პროგრამებისთვის, როგორიცაა „შედუღება“ და „ელექტროობა“, დაწესებულებას შემუშავებული აქვს სპეციალური უსაფრთხოების რეგულაციები. პრაქტიკულ სივრცეებში (C გარემო) განთავსებულია შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნები და ვიზუალური მანიშნებლები. პროგრამის ხელმძღვანელებმა და განმახორციელებელმა პერსონალმა ექსპერტთა ჯგუფთან გასაუბრებისას გამოხატეს მზაობა, რომ სასწავლო პროცესის დაწყებისას სტუდენტებს ჩაუტარებენ დეტალურ ინსტრუქტაჟს უსაფრთხოების ნორმების შესახებ.

მომხსენებელმა დეტალურად ისაუბრა წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამებზე:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „შედუღება“: პროგრამისთვის გამოყოფილია ერთი A, ერთი AC და ერთი B გარემო. A გარემოში ინტეგრირებულია თეორიული სწავლების სივრცე და განთავსებულია საჭირო დანადგარები. პროგრამას ემსახურება 7 კვალიფიციური მასწავლებელი, რაც საკმარისია პროცესის მდგრადობისთვის. ბიბლიოთეკაში არსებული რესურსი სრულყოფილია. მოთხოვნილია 15 სტუდენტი. აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა. ვინაიდან უნარების სააგენტოს მიერ განახლდა პროფესიული სტანდარტი, რამაც გამოიწვია დამატებითი მატერიალური რესურსის საჭიროება, დაწესებულებამ აიღო ვალდებულება, 2026 წლის 15 აპრილამდე უზრუნველყოს შესაბამისი აღჭურვილობის შესყიდვა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ელექტროობა“: დაწესებულებას გააჩნია შესაბამისი A და B, ერთი AC გარემოები, პროგრამაში ჩართულია 9 მასწავლებელი და კომპეტენტური ხელმძღვანელი. ბიბლიოთეკა აღჭურვილია სათანადო რესურსით. მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობაა 15 სტუდენტი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „აღმზრდელი“: პროგრამა ხორციელდება კოოპერაციული წესით, რისთვისაც გაფორმებულია ხელშეკრულება „ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების – საბავშვო ბაღების გაერთიანებასთან“. კოლეჯში გამოყოფილია A და B გარემოები. პროგრამაში ჩართულია 11 მასწავლებელი, რომელთა უმრავლესობა მოქმედი პრაქტიკოსია (ბაღის დირექტორები), რაც ექსპერტთა ჯგუფმა დადებითად შეაფასა. მოთხოვნილი კვოტა შეადგენს 15 სტუდენტს.

ექსპერტმა ხაზი გაუსვა, რომ ვინაიდან კოლეჯი საჯარო სამართლის იურიდიული პირია, წარმოდგენილი იყო საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანხმობა სამივე პროგრამის განხორციელების თაობაზე. ექსპერტმა წარმოადგინა ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტომასალა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს ამომწურავი პრეზენტაციისთვის და იკითხა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პრაქტიკული გამოცდილების საკითხი, კერძოდ „ელექტროობისა“ და „შედუღების“ მიმართულებით. თამარ გიორგობიანმა განმარტა, რომ პერსონალს გააჩნია როგორც მოკლევადიანი პროგრამების განხორციელების, ისე დარგობრივი ექსპერტიზის გამოცდილება. რაც შეეხება „აღმზრდელის“ პროგრამას, ჩართული პერსონალი ძირითადად მოქმედი პრაქტიკოსია. გარდა ამისა, დაწესებულებამ უზრუნველყო მათი მეთოდოლოგიური გადამზადება ტრენინგების მეშვეობით.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა, ნათია ბუთხუზმა ყურადღება გაამახვილა „შედუღების“ პროგრამაზე სტანდარტის შეფასებსთან დაკავშირებით დაწესებულების თვითშეფასებასა და ექსპერტთა დასკვნას შორის. ასევე, შესაბამისობის გეგმაზე, რომელიც წამოდგენილი დოკუმენატციით ვერ დადგინდა ვადები. თამარ გიორგობიანმა განმარტა, რომ თავდაპირველად დაწესებულებას მატერიალური რესურსი შეძენილი ჰქონდა ძველი სტანდარტის მიხედვით, რაც იმ დროისთვის სრულად აკმაყოფილებდა მოთხოვნებს. თუმცა, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის განახლებამ წარმოშვა დამატებითი აღჭურვილობის საჭიროება, რაზეც დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა.

ნათია ბუთხუზი, ასევე, დაინტერესდა დაწესებულების სტრატეგიული არჩევანით, თუ რატომ შემოიტანა კოლეჯმა ამ ეტაპზე მხოლოდ სამი პროგრამა, მაშინ როდესაც კოლეჯის მრავალპროფილურობა, ინფრასტრუქტურა იძლევა გაცილებით მეტი მასშტაბის შესაძლებლობას. დაწესებულების წარმომადგენელმა, ხათუნა ლობჟანიძემ განმარტა, რომ პროგრამების შერჩევა მოხდა შრომის ბაზრის კვლევის, პარტნიორ დამსაქმებლებთან (მაგ. „ენერგო-პრო ჯორჯია“) კონსულტაციებისა და რეგიონული საჭიროებების საფუძველზე. მან აღნიშნა, რომ კოლეჯის სტრატეგია გულისხმობს ეტაპობრივ ზრდას; ამჟამად დამუშავების პროცესშია 4 ახალი საკვალიფიკაციო და 7 სასერტიფიკატო პროგრამა.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელმა, ნანი დალაქიშვილმა ითხოვა „შედუღების“ პროგრამაზე შესაბამისობის გეგმის ზუსტი ვადების წარმოდგენა, რადგან ექსპერტთა დასკვნის პროექტს გეგმა არ ახლდა. ტექნიკური შესვენების შემდეგ, ექსპერტმა თამარ გიორგობიანმა წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც ხარვეზის გამოსწორების ვადად განსაზღვრულია 2026 წლის 15 აპრილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა ხათუნა ლობჟანიძემ დაადასტურა, რომ აღჭურვილობის შესაძენად დაფინანსება უკვე მიღებულია და მიმდინარეობს სატენდერო პროცედურები, შესაბამისად, განსაზღვრული ვადა რეალისტურია და მოიცავს რისკების დაზღვევის პერიოდსაც.

ვინაიდან საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ კოლეჯ „ქართლის“ ავტორიზაციის შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად, საბჭომ გადაწყვიტა: სსიპ კოლეჯს „ქართლი“ (ს/კ: 243919033) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი. სსიპ კოლეჯს „ქართლი“ მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები **(დანართი 2).**

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, ჩაინიშნოს მონიტორინგი სსიპ კოლეჯ „ქართლში“ მე-2 სტანდარტში (2.2. კომპონენტში) „შედეგების“ პროგრამის ფარგლებში. მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი. მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 20 აპრილი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 14:45 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
კაკაბაძე ელენე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბუთხუზი ნათია

დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	საექთნო განათლება
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქალაქი მარნეული, 26 მაისის ქუჩა N80
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	150
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

პროგრამის სახელწოდება	აღმზრდელი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქალაქი მარნეული, 26 მაისის ქუჩა N80
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	100
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146

პროგრამის სახელწოდება	მასაჟის თერაპია
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია მასაჟის თერაპიაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0915
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქალაქი მარნეული, 26 მაისის ქუჩა N80
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	97
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	127

პროგრამის სახელწოდება	საფინანსო სერვისები
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0412
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქალაქი მარნეული, 26 მაისის ქუჩა N80
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	44
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	52
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	67

პროგრამის სახელწოდება	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქალაქი მარნეული, 26 მაისის ქუჩა N80
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	44
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	55
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	70

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია (სააფთიაქო)
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0916
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქალაქი მარნეული, 26 მაისის ქუჩა N80
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	100
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	123
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	153

ინფორმაცია იმ პროგრამ(ებ)ის შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის მილევად რეჟიმში

პროგრამის სახელწოდება	ინფორმაციის ტექნოლოგია
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქალაქი მარნეული, 26 მაისის ქუჩა N80
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური (იმიტირებული)
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, განხორციელების ფორმის შესაბამისად, მათ შორის, ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	21
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	61
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	76

დანართი 2

პროგრამის სახელწოდება	შედუღება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0715
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ხაშურის მუნიციპალიტეტი, დაბა სურამი, ახალი ბანას ქუჩა N15
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	15
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	87
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117

პროგრამის სახელწოდება	ელექტროობა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0713
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ხაშურის მუნიციპალიტეტი, დაბა სურამი, ახალი ბანას ქუჩა N15
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	15
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	66
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	81

პროგრამის სახელწოდება	აღმზრდელი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ხაშურის მუნიციპალიტეტი, დაბა სურამი, ახალი ბანას ქუჩა N15
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	15
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146